

ბავშვობის საზიანო გამოცდილებისა და ზრდასრულობაში  
ფსიქიკური კეთილდღეობის ურთიერთმიმართება

ავტორი: ეთერი ტაგანაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერება და ხელოვნების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგიის  
მაგისტრის ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სამაგისტრო პროგრამა: ფსიქოლოგია (კლინიკური ფსიქოლოგია)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ია შეყრილაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

## განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ეთერი ტაგანაშვილი

20.06.2024

## მადლობა

პირველ რიგში, მსურს ღრმა მადლიერება გამოვხატო ჩემი ხელმძღვანელის, ასოცირებულ პროფესორ ია შეყრილაძის მიმართ. მისი მხარდაჭერა იყო გადამწყვეტი მნიშვნელობის ამ ნაშრომის შექმნაში. მისი გამორჩეული ცოდნა და გამოცდილება დამეხმარა ნაშრომის ხარისხიანად და სიღრმისეულად შესრულებაში.

ასევე, განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს თანაკურსელებს. მათი თანამშრომლობა, მოტივაცია და გულწრფელი მხარდაჭერა ამ პროცესის განმავლობაში იყო შეუფასებელი. ჩვენ ერთად გავიზიარეთ უამრავი სირთულე და სიხარული, რაც კიდევ უფრო მეტად გაამყარებდა ჩვენს მეგობრობას და პროფესიულ განვითარებას.

განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ყველა რესპონდენტს, ვინც თავისი დრო და ენერჯია გაიღო ჩემი კვლევის ფარგლებში. მათი მონაწილეობა და გულწრფელი პასუხები იყო აუცილებელი ამ ნაშრომის წარმატებისთვის. მათმა გამოცდილებამ და მოსაზრებებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ჩემი კვლევის განვითარებაში.

მადლობა ყველას, ვინც თავისი წვლილი შეიტანა ჩემი სამაგისტრო ნაშრომის განხორციელებაში.

## აბსტრაქტი

ბავშვობის საზიანო გამოცდილებები შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი წინაპირობა ზრდასრულობაში ფსიქიკური კეთილდღეობისა და ფსიქოლოგიური მედეგობის დონის განსაზღვრისას. ამავე მიზნებისთვის მნიშვნელოვანია თვითეფექტურობის როლის გაგებაც, რადგან ის შეიძლება იყოს მძლავრი ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს ფსიქიკური კეთილდღეობისა და მედეგობის გაუმჯობესებაში. კვლევა მიზნად ისახავდა თვითეფექტურობისა და საზიანო გამოცდილებების როლისა და მოქმედების მექანიზმის გამოკვეთას ფსიქიკური კარგად ყოფნისა და ფსიქოლოგიური მედეგობის ჩამოყალიბებაში. კვლევა რაოდენობრივი ხასიათისაა, მონაცემების შეგროვება მოხდა ონლაინ ფორმატით, აღნიშნული ოთხი ცვლადის შესაფასებელი სპეციფიკური ინსტრუმენტების მეშვეობით. კვლევის მონაწილეთა რაოდენობა იყო 318 ადამიანი. მიღებული პასუხები სტატისტიკურად დამუშავდა და ცვლადთაშორისი კავშირის განსასაზღვრად გამოყენებულია კორელაციური და რეგრესიული ანალიზი. საზიანო გამოცდილების მიხედვით კარგად ყოფნასა და თვითეფექტურობის მაჩვენებლებში ჯგუფთაშორისი განსხვავებების გამოსავლენად გამოყენებულია დისპერსიული ანალიზი.

კვლევის შედეგებმა დაადასტურა ბავშვობის საზიანო გამოცდილების ნეგატიური კორელაციური კავშირი ფსიქოლოგიურ კარგად ყოფნასა და მედეგობასთან. რეგრესიული ანალიზით დაადასტურდა, რომ საზიანო გამოცდილება უკუწინასწარმეტყველებს ფსიქიკურ კარგად ყოფნას, მაგრამ არ შეუძლია ფსიქოლოგიური მედეგობის წინასწარმეტყველება საზიანო გამოცდილებით. ასევე გამოვლინდა, რომ ზოგადი თვითეფექტურობა დადებით კავშირშია და წინასწარმეტყველებს მედეგობასა და კარგად ყოფნას. მათ ვისაც სამი ან მეტი ბავშვობის საზიანო გამოცდილება აღნიშნებოდა, ზოგადი თვითეფექტურობის, მედეგობისა და კარგად ყოფნის ბევრად დაბალი დონეები გამოეკვეთათ, ვიდრე მათ ვისაც არ ჰქონდა ბავშვობის საზიანო

გამოცდილება. განსხვავება ყველაზე მცირეა მედეგობასთან მიმართებით, ხოლო ყველაზე დიდი- ფსიქოლოგიურ კარგად ყოფნასთან მიმართებით.

**საკვანძო სიტყვები:** ბავშვობის საზიანო გამოცდილება, ფსიქოლოგიური კარგად ყოფნა, თვითეფექტურობა, ფსიქოლოგიური მედეგობა.

## Abstract

Adverse childhood experiences (ACEs) can be significant predictors of mental well-being and psychological resilience in adulthood. Understanding the role of self-efficacy is also crucial, as it can be a powerful factor in enhancing mental well-being and resilience. This study aims to provide a clearer picture of the mechanisms influencing these relationships, which may assist specialists in developing more targeted interventions and programs to promote mental well-being and resilience. The research is quantitative in nature, with data collected online using instruments measuring the four variables of interest. The sample size was 318 participants. The responses were statistically analyzed to determine the correlations and regressions between the variables. Additionally, ANOVA was used to identify differences in mental well-being and self-efficacy between groups with no ACEs, 1-2 ACEs, and 3 or more ACEs.

The results indicate a negative correlation between ACEs and both mental well-being and psychological resilience, and they show that ACEs negatively predict mental well-being. However, the regression analysis did not confirm ACEs as a negative predictor of psychological resilience. It was also found that general self-efficacy is positively associated with and predicts psychological resilience and mental well-being. Participants with 3 or more ACEs had significantly lower levels of general self-efficacy, resilience, and mental well-being compared to those without ACEs. The differences were smallest for resilience and largest for mental well-being.

**Keywords:** Adverse childhood experiences, mental well-being, self-efficacy, psychological resilience.